სანოტარო აქტი

ორი ათას ცხრამეტი წლის თვრამეტ სექტემბერს მე, დავით ჩალათაშვილს საქართველოს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, სანაპიროს 2ა, #1, მომმართა **დავითი ნიქაბაძემ**, როგორც შპს **„ჯი არ სი“-ს** (ს/კ:205017578) დირექტორმა, მთხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება სანოტარო ბიუროს გარეთ, მისამართზე: ქ. თბილისი, ფეიქართა ქ. #14გ. მე შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **დავითი ნიქაბაძემ** (დაბ. 23.03.1961წ., რეგისტრირებული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ზღვისუბნის დასახლება, XI მიკრო/რაიონი, I კვარტალი, კორპუსი 4, ბინა 42, პირადი #53001001231, პ/მ სერია 11IA15965) მომმართა. ასევე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი მის ქმედუნარიანობაში. მე ასევე შევამოწმე მისი უფლებამოსილება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B19066290, 13/06/2019 14:22:57) და შპს **„ჯი არ სი“-ს** (ს/კ:205017578) წესდების საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ **დავითი ნიქაბაძე** ნამდვილად არის შპს **„ჯი არ სი“-ს** (ს/კ:205017578) დირექტორი. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც მოიწონა **დავითი ნიქაბაძემ** და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

მე, **დავითი ნიქაბაძემ** (რეკვიზიტები მითითებულია ზემოთ), როგორც შპს **„ჯი არ სი“-ს** (ს/კ:205017578) დირექტორმა, ამ მინდობილობით, **ნორა შიუკაშვილს** (დაბ.:26.02.1981, პირადი #20001006101) მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

ნორა შიუკაშვილი:

1. იცავს **ჩემს, როგორც შპს „ჯი არ სი“-ს დირექტორის** ინტერესებს და წარმომადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მის ტერიტორიულ სამსახურებში, ნებისმიერ არქივში, სანოტარო ბიუროში, სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, შსს მომსახურების სააგენტოში, სამთავრობო თუ არასამთავრობო დაწესებულებებში, იუსტიციის სახლში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან და სხვა ნებისმიერ ორგანიზაცია-დაწესებულებებში;
2. **ნორა შიუკაშვილი** უფლებამოსილია დადოს **ჩემი, როგორც შპს „ჯი არ სი“-ს დირექტორის** სახელით გააფორმოს იპოთეკის ხელშეკრულებები (სადაც **შპს „ჯი არ სი“** იქნება იპოთეკარი) ან/და ვალის აღიარების ხელშეკრულებები (სადაც **შპს „ჯი არ სი“** იქნება კრედიტორი), გაუგრძელოს ვადა აღნიშნულ ხელშეკრულებებს, განსაზღვროს ხელშეკრულების სხვა პირობები და მიიღოს თანხა.
3. **ნორა შიუკაშვილი** იყოს ჩემი, როგორც შპს „ჯი არ სი“-ს დირექტორის სახელით შეიტანოს განცხადებები, წარადგინოს, გამოითხოვოს და მიიღოს ყველა საჭირო ცნობა, საბუთი და მოწმობა, გადაიხადოს გადასახადები, მოაწეროს ხელი ყველა საჭირო საბუთს და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

რწმუნებულება ძალაშია 2020 (ორი ათას ოცი) წლის 31 (ოცდათერთმეტ) დეკემბრამდე. რწმუნებულება გაცემულია სამ ეგზემპლარად, რომელთაგანაც ერთი ინახება ნოტარიუს დავით ჩალათაშვილის სანოტარო ბიუროში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მარწმუნებელს. მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროში თან ერთვის შემდეგი დანართი დოკუმენტები: 1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან. 2. შპს **„ჯი არ სი“-ს** წესდება ინახება ნოტარიუს დავით ჩალათაშვილის სანოტარო არქივში (მინდობილობა, დამოწ. ნოტარიუს დავით ჩალათაშვილის მიერ 15.02.2019წ., **N190163264**). გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო, საქართველოს მთავრობის 2011წ. 29 დეკემბრის #507 დადგენილებით დამტკიცებული - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფოსა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები“-ს შესახებ 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად 10 (ათი) ლარი, საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების 34-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად 20 (ოცი) ლარი, დღგ 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა და 39 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური - 2.00 (ორი) ლარი, სულ 37.40 (ოცდაჩვიდმეტი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი.

ხელისმოწერა:
დავითი ნიქაბაძე
(შპს **„ჯი არ სი“-ს** დირექტორი)

დავით ნიქაბაძე

ნოტარიუსი

დავით ჩალათაშვილი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

75764309832119

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N191141219

რეგისტრაციის თარიღი

18.09.2019 წ

ნოტარიუსი: დავით ჩალათაშვილი
მისამართი: თბილისი, სანაპიროს 2ა, #1
ტელეფონი: 2952228 599336099

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18